დადგენილება №003167
სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე

16.09.2022წ. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7

მე, მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილემ, მამუკა ჯაყელმა, განვიხილე 2022 წლის 10 აგვისტოს №003167 მითითება და 2022 წლის 12 სექტემბრის №003167 შემოწმების აქტი შედგენილი, შ.პ.ს. „კონდი"-ს (ს.ნ. №404497914; მის.: ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, გ. რჩეულიშვილის ქ., კორ. 4, ბ. 12) მიმართ, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 132-ე მუხლის (სამშენებლო/სანებართვო პირობების დარღვევა) 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.გ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული დარღვევისათვის და

გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორია; ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი; ქალაქი თბილისი, აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორია; ქალაქი თბილისი, აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორია; ქალაქი თბილისი, დიდი დიღომი, საკ. კოდი №01.72.14.014.888-ზე, შ.პ.ს. „კონდი"-ს მიერ, განხორციელდა მრავალფუნქციური შენობის მშენებლობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 28 დეკემბრის №5228802 ბრძანებით (მშენებლობის ნებართვა – ბრძანება №6027079 08.07.2022წ.) შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით: კერძოდ "11-1" ფასადზე დამატებით მოწყობილია კონდიციონერები და აგრეგატები. „ზ-ა" ფასადზე "ზ-ე" მონაკვეთში +0.00 ნიშნულის ქვემოთ ფრამუგაზე დამატებით მოწყობილია გისოსები. „1-11" ფასადზე დამატებით მოწყობილია გამწოვი მილები. შშმ პირთა მისასვლელი გზები არ არის ადაპტირებული შშმ პირთათვის.

მუნიციპალური ინსპექციის სპეციალისტის მიერ, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 123-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევის მიმართ, 2022 წლის 10 აგვისტოს შედგენილ იქნა №003167 მითითება, რომლითაც მხარეს განესაზღვრა 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის

ვადა ობიექტის შეთანხმებულ კორექტირებულ არქიტექტურულ პროექტთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

2022 წლის 12 სექტემბერს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 124-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალური ინსპექციის სპეციალისტის მიერ, შედგა №003167 შემოწმების აქტი, რომლითაც დაფიქსირდა მითითებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა.

საქმეშია, შ.პ.ს „კონდი"-ს დირექტორის მოქ. ირაკლი ბოჭორიშვილის 2022 წლის 24 აგვისტოს №10/01222361068-17 განცხადება, რომლითაც მხარე ეთანხმება, მუნიციპალური ინსპექციის 2022 წლის 10 აგვისტოს №003167 მითითებაში დაფიქსირებულ დარღვევებს და ითხოვს კანონით გათვალისწინებული ზომების გატარებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შ.პ.ს „კონდი"-ს მიერ, ჩადენილია საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 132-ე მუხლის (სამშენებლო/სანებართვო პირობების დარღვევა) 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.გ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორია; ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი; ქალაქი თბილისი, აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორია; ქალაქი თბილისი, აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორია; ქალაქი თბილისი, დიდი დიღომი, საკ. კოდი №01.72.14.014.888-ზე, შ.პ.ს „კონდი"-ს მიერ, განხორციელდა მრავალფუნქციური შენობის მშენებლობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 28 დეკემბრის №5228802 ბრძანებით (მშენებლობის ნებართვა – ბრძანება №6027079 08.07.2022წ.) შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით.

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ", საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 122-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 125-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით და 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.გ." ქვეპუნქტით,

დავადგინე:

1. **შ.პ.ს. „კონდი"** დაჯარიმდეს 10 000 (ათი ათასი) ლარით, ქ. თბილისში, აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორია; ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი; ქალაქი თბილისი, აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორია; ქალაქი თბილისი, აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორია; ქალაქი თბილისი, დიდი დიღომი, საკ. კოდი №01.72.14.014.888-ზე, პროექტის დარღვევით III კლასის შენობა-ნაგებობის (მრავალფუნქციური შენობა) მშენებლობისათვის;

2. **შ.პ.ს. „კონდი"**-ს დაევალოს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს

ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში:

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება:** დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე;

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, **შ.პ.ს. „კონდი"-ს** დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა;

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, სამშენებლო სამართალდამრღვევს დაერიცხება საურავი სამშენებლო სამართალდამრღვევის დაჯარიმების შესახებ დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით;

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, მისი დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, სამშენებლო სამართალდამრღვევი ჯარიმდება თავდაპირველად დაკისრებული ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც მას შეიძლება დაეკისროს არაუმეტეს სამჯერ;

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან 15 კალენდარული დღის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7).

მუნიციპალური ინსპექციის
უფროსის მოადგილე

მ. ჯაყელი

საგადასახადო დავალება
Payment Order

0 GEL

თარიღი / Date: 29/09/2022

ს.ს. „თიბისი ბანკი“

29/09/2022 1:50:55 PM

გადამხდელი / sender	შპს კონდი, 404497914
გადამხდელის ანგარიში / Sender's Account	GE56TB7276536080100005
გადამხდელის ბანკი / Sender's bank	სს "თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი / Bank Code	TBCBGE22

ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა
inforamtion on a person on behalf of whom the payment is made

დასახელება / Name	შპს კონდი, 404497914
საიდენთიფიკაციო კოდი / Sender"s Tax Code	404497914
მიმღები / ReceIver	ხაზინის ერთიანი ანგარიში. სხვა შემოსულობები (თვითმმართველი ქალაქი თბილისის მუნიციპალიტეტი)
მიმღების ანგარიში / სახაზინო კოდი Receiver's Acc. /Treasury Code	300773263
მიმღები ბანკი / ხაზინა Receiver's Bank / Treasury	ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური
ბანკის კოდი / Bank Code	TRESGE22
გადახდის დანიშნულება / Operation Details	შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ - სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო
დამატებითი ინფორმაცია / Additional information	სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის ჯარიმა. დადგენილება N:003167.

რეფერენსი / Ref. Num.	1219077
თანხა / Amount	10000.00 GEL
თანხა სიტყვიერად Amount in words	ათი ათასი ლარი 00 თეთრი
გადარიცხვის საკომისიო Transfer Fee	6GEL
ბანკში საგადახდო დავალების მიღების/წარდგენის თარიღი/Document submission/receiving date	29/09/2022

1219077

ხელმოწერები
Signatures
ბ.ა.

ხელმოწერა
Signature

მოლარე ოპერაციონისტი
ბეჭდის ადგილი

თიბისი ბანკი TBC BANK კოდი CODE TBCBGE22

თანხას ბოლოს ჩანაწერი

ამ დოკუმენტის ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს, რომ: დეტალურად იცნობს სს თიბისი ბანკის ფილიალებსა და ინტერნეტ-გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებული საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებას) და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ზემოხსენებულ ხელშეკრულებას.საგადახდო დავალების საკომისიოს დათვლის პრინციპი შეგიძლიათ იხილოთ ბანკის ინტერნეტ გვერდზე: www.tbcbank.ge